# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 76 | ხუთშაბათი, 19 დეკემბერი 1902 წ. | გაზეთის № 2015.

## ს ი მ ა რ თ ლ ე

უკანასკნელი რომანი

ზოლასი

თარგმანი ფრანგულიდან.

### წიგნი პირველი

(შემდეგი)

მარკოზი ქ-ნ დიუპარკის პატარა სახლიდან ცნობის მოყვარეობით თვალს ადევნებდა ამ სცენას და ერთი ხანად კიდეც დააპირა გამოსვლა, რომ ყველაფერი უფრო კარგად დაენახა და გაეგონა. მაშ რას წინასწარმეტყველებდა ფერუ და რას ამბობდა, რომ მთელ დანაშაულობას ურიას მოახვევენ თავზე, რომ საერო სკოლის მასწავლებელი გახდება ყბად ასაღები კლერიკალებისაგანაო? პირ-იქით, როგორც ეტყობოდა, საქმე ძალიან ცუდად უნდა დატრიალებულიყო წმ. ძმებისათვის. ხალხის მრისხანება, რომელიც თან და თან ძლიერდებოდა, ყვირილი და მუქარა ცუდ ბოლოს მოასწავებდა; შეიძლება დამნაშავის ბრალი მთელ იმის წრეს დასდონ, შეიძლება საქმე იქამდის მივიდეს, რომ თვით ეკკლესია შეარყიონ, თუ მართლა დამნაშავე ამ ეკლესიის წევრთაგანი გამოჩნდა. მარკოზი ეკითხებოდა თავის თავს და მაინც ვერაფერზე დაემყარებინა თავისი აზრი, რადგან ჰგრძნობდა, რომ უბრალო ეჭვის მიტანაც-კი ამ საქმეში უგუნურობა და უპატიოსნება იქნებოდა. იმისის აზრით, მამა ფილიბინი და ძმა ფულგენსი ამ საქმეში პატიოსნურად და მიუდგომლად იქცეოდნენ. მარკოზი სცდილობდა სამართლიანად გაესაჯა ყოველივე და არ აჰყოლოდა თავისუფალ მოაზრის გრძნობებს. უნდოდა ამ წყვდიადით მოცულ დრამის საიდუმლოების გაგება.

ამ ფიქრში იყო, როდესაც დაინახა პელაგია სადღესასწაულოდ გამოპრანჭული თავის ძმისწულით, თერთმეტის წლის ბიჭით, პოლიდორ სუკეტით, რომელსაც იღლიაში ეჭირა ლამაზი, ვარაყიანი წიგნი.



დედის მაგიერი.—სურათი ემიზენისა.

— ეს საჩუქარი კარგის ყოფაქცევისთვის მისცეს, ბატონო!—თავმომწონედ გამოუცხადა პელაგიამ მარკოზს.—ეს სჯობია წერა-კითხვისთვის მიღებულ საჩუქარს. ასე არ არის?

მართლაც და პოლიდორი, ეს მშვიდობიანი და გულ-დახურული ბავშვი, წმ. ძმებსაც-კი აკვირვებდა თავისს გასაოცარის სიზარმაცით. პოლიდორი მსხვილი და უფერული იყო; უფერულივე თმა ჰქონდა, ხოლო პირის სახე—გრძელი და დაბლა გაპრტყელებული. მამა ამ ბიჭისა გზებზე ქვას ამტვრევს და მუდამ მთვრალია ხოლმე; დედა ძალიან ადრე მოუკვდა და ამნაირად ბავშვი ალალ ბედზე ცხოვრობდა. შეშინებულს იმ აზრით, რომ იმასაც მამასავით გზებზე ქვების მტვრევა არ ასცდება, პოლიდორს ეხლავე სძულდა ყოველ გვარი მუშაობა. პელაგია კი ოცნებობდა, რომ იმის ჭკვიან კაცობას მოესწრებოდა. ბავშვი ხშირად დაიარებოდა იმასთან სამზარეულოში სამსუნაგოდ.

პელაგია გახარებული იყო, მაგრამ იმას მაინცა ჰხედავდა, რაც გარშემო ხდებოდა. გაბრაზებულმა გადაჰხედა ბრბოს და სთქვა:

— ჰხედავთ, ბატონო! ხომ ჰხედავთ ამ ანარქისტებს! ჰკიცხავენ წმ. ძმებს, რომელნიც ასე თავდადებულნი არიან, რომელთაც ასე ძალიან უყვართ ბავშვები, ზრუნავენ იმათთვის ისე, როგორადაც დედა ვერ იზრუნებს!.. აი, თქვენ თვითონ გასაჯეთ: პოლიდორი თავის მამასთან ჟონვილის გზაზე სცხოვრობს, აქედან ერთის კილომეტრის მანძილზე; გუშინ საღამოს, ცერემონიის შემდეგ, იმ შიშით, რომ ბავშვს გზაში არაფერი შეემთხვეს, წმ. ძმამ გორგიამ კარებამდინ მიაცილა იგი!.. ასე არ იყო, პოლიდორს?

— დიაღ, — უპასუხა ბავშმა მოკლედ და ყრუდ.

— და აი ეხლა იმათ აყენებენ შეურაცხებას, იმათ ემუქრებიან!—განაგრძო პელიგიამ.—საწყალი წმ. ძმა გორგიასი! გააცილა, იმ ბნელ ღამეში ორი კილომეტრი გაიარა... რისთვის? იმისთვის, რომ ბავშვს არაფერი დაჰშავებოდა. ამის შემდეგ ადამიანმა კეთილი არ უნდა ჩაიდინოს...

მარკოზი ყურს აღარ უგდებდა პელაგიას, რომელსაც საზოგადოდ ბევრი ლაპარაკი უყვარდა; იგი ათვალიერებდა ბავშვს, აკვირვებდა იმისი გაჯიუტებული სიჩუმე, ვითომ კიდეც სთვლემდა, და ამ მდგომარეობაში დიდ სიტკბოებას ჰპოვებდა. მარკოზი პატარა დარბაზში შევიდა, საცა ჟენევიევა წიგნს კითხულობდა, ხოლო ქალბატონები ჩვეულებისამებრ მღვდლებისათვის რაღაცას ჰქსოვდნენ. ძალიან შესწუხდა, როდესაც დაინახა თავისი ცოლი, რომელმაც წიგნი დააგდო და ყველა იმით შეშინებულმა, რაც მოედანზე ხდებოდა, კისერზე ხელები მოჰხვია.

— რა ამბავი ხდება?—ჰკითხა იმან.—ნუ თუ ამას ჩხუბი მოჰყვება?

მარკოზმა დაამშვიდა. მაშინ ქ-ნმა დიუპარკმა სამუშაოდან თვალები აიღო და სასტიკის კილოთი გაიმეორა თავისი სურვილი:

— მარკოზ, იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ საძაგელ ისტორიაში არ ჩაერევით... უგუნურებაა წმ. ძმებზე ეჭვის შეტანა და მათი შეურაცხება! თვითონ ღმერთი გადუხდის თავისიანების სამაგიეროს!..

II

ამ ღამეს მარკოზს დიდ ხნობამდის ძილი არ მიეკარებია. იმდღანდელი ამბავი თავში უტრიალებდა და საშინელ მკვლელობის ძნელი ამოცანა გონებას უშფოთებდა. იმ დროს, როცა გვერდით იმის საყვარელს ცოლს ტკბილად ეძინა და იქვე მახლობელ საწოლიდან პატარა ქალის, ლუიზას, მშვიდი ფშვინვა მოისმოდა, მარკოზი კვლავ იკვლევდა და იგონებდა მკვლელობის ყოველ წვრილმან გარემოებას, სწონავდა ამ გარემოებებს, რიგზე აწყობდა და ამ რიგად სცდილობდა გაეფანტა წყვდიადი და სიმართლე გაებრწყინებინა.

მარკოზი იყო ფხიზელისა და ნათელის გონების პატრონი. იმისი მძაფრი და ნათელი გონება თხოულობდა, ყველაფერი მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა; სწორედ ამით აიხსნებოდა მარკოზის ჭეშმარიტებისადმი გატაცებული მისწრაფება. ბედნიერება და გულის სიმშვიდე იმისთვის არ იყო იქ, სადაც არ იყო ჭეშმარიტება, ნამდვილი სიმართლე, ხელსაჭერი, დაბოლოვებული, რომელიც მთელს იმის არსებას ნათლად უნდა ეგრძნო. მარკოზი დიდი მეცნიერი არ იყო, მაგრამ რაც იცოდა, ისე კარგად იცოდა, რომ უბრალო ეჭვსაც არ შეეძლო შეერყია. ეს ცოდნა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. თუ რამე ეჭვი შეეპარებოდა, იტანჯებოდა. კარგად ხდებოდა და ტანჯვა ელლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ეჭვი ეფანტებოდა; მაშინ იმავე გატაცებით, რომლითაც იგი სიმართლისაკენ მიისწრაფოდა, სცდილობდა ეს ჭეშმარიტება და სიმართლე სხვებისათვის გაეზიარა, სხვებისათვის თვალსაჩინო გაეხადა და სხვების თავსა და გულში ჩაენერგა. აი ამ დროს გამოაჩნდებოდა ხოლმე იმას მოწოდებითი ნიჭი: ყველაფერს ისე მარტივად, დალაგებით და ნათლად ჰხსნიდა და თან იმის დამშვიდებულ მსჯელობას ისეთი დიდი რწმენა ეტყობოდა, რომ მსმენელი უნებლიედ უნდა დაჰკვირვებოდა; წინად გაუგებარი და ბნელი საკითხები, ეხლა ნათელი, უბრალო და ადვილი გასაგები ხდებოდა. იგი სულს უდგამდა და სიცოცხლეს აძლევდა რაც უნდა მკვდარი საგანი ყოფილიყო; გრამატიკას ან არითმეტიკას ისე აალაპარაკებდა, რომ მოსწავლეთათვის ზღაპარსავით საინტერესო ჰხდებოდა. ოღონდაც რომ დაბადებითა ჰქონდა ნიჭი დაყოლილი!

მასწავლებლობის ნიჭი მაშინ გამოიჩინა, როდესაც 17 წლისა ბომონტში ჩამოვიდა პაპონ-ლაროშთან, სადაც ლიტოგრაფიის ხელობის შესწავლა უნდა დაემთავრებინა. აქ მინდობილი ჰქონდა საskოლო სურათების გაკეთება; ისეთი ნიჭი გამოიჩინა, ისეთის სიცხოვლით და სინამდვილით აკეთებდა სურათებს, თან ისე ამარტივებდა, რომ მართლაც, თუ ადამიანს გული არ შესტკიოდა მოზარდ თაობისათვის და მოწოდებული არ იყო იმით აღსაზრდელად, სხვა უიმისო ამნაირ საუცხოვო ხელოვნებას ვერ შეჰქმნიდა. აქვე, პაპონ-ლაროშთან გაიცნო ნორმალურ სკოლის ეხლანდელი დირექტორი სალვანი, რომელიც გაოცებული დარჩა იმის ნიჭით და თავის მხრივაც ურჩია დაჰყოლოდა ამ მოწოდებას, გამხდარიყო უბრალო მასწავლებელი. იგიც გახდა მასწავლებლად, დარწმუნებული, რომ კეთილ ჰობილ მოვალეობას ასრულებდა და ბედნიერი მარტო იმ აზრით, რომ სასარგებლო კაცი იყო ერთ სადღაც მივარდნილ სოფელში. მარკოზს ებრალებოდა და უყვარდა გონება დახშული საწყალი არსებანი, სიყვარულმა დასძლია და გადააწყვეტინა ცხოვრების გზა. თავის პატარა ხელობაში სიმართლისადმი მისწრაფება უფრო გაეზარდა და განუცხოველდა და ბოლოს მთლად იმის არსებად გადაიქცა; თუ სცხოვრობდა, მარტო ამით სცხოვრობდა; როდესაც სიმართლე ხელში არ ეჭირა, სწუხდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, იტანჯებოდა, სცდილობდა მალე მოეკიდნა იმისთვის ხელი, მთლად ხელში ჩაეგდო, რომ შემდეგ სხვებისათვის გაეზიარა. უამისოდ იმისთვის სიცოცხლე სიცოცხლედ არა ჰღირდა და დღენი მისნი მოწამლული ჰხდებოდნენ.

ამიტომაც ათევდა ეხლა ღამეს მძინარე ცოლის გვერდით. სწუხდა, რომ არ იცოდა, ვერ მიმხვდარიყო, ვერ დაეღწია თავი იმ საშინელ სიბნელისაგან, რომელიც ამ ბავშვის მკვლელობას გადაჰფარებოდა; ჰგრძნობდა, რომ მარტო უბრალო საზიზღარი მკვლელობა არ იყო აქა, რომ იქით რაღაც საშინელი ჯურღმული და ჩაბნელებული უბსკრული მოსჩანდა. ნუ თუ ტანჯვა მოელოდა, ტანჯვა იმ დრომდე, ვიდრე სიმართლეს მიაკვლევდა? მაგრამ როდის მიაკვლევდა ამ სიმართლეს? გაატანდა იმ სიბნელეს, რომელიც რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო ბნელად წინ ეფარებოდა? რომ ვერ მისწდომოდა სიმართლეს? ეს აზრი აშინებდა...



მშიერი მგლები. — სურათი კოვალსკისა.

მარკოზმა ინატრა გათენება, რომ კვლავ შესდგომოდა გამოკვლევას. ამ დროს გვერდზე იმისმა ცოლმა ძილში ოდნავ გაიცინა; სასიამოვნო სიზმრებს თუ ჰხედავდა. მარკოზს კი თვალწინ წარმოუდგა იმისს დიდიედის მკაცრი სახე, რომელიც ეუბნებოდა, ამ საზიზღარ საქმეში არ ჩარეულიყო.

აქნობამდის იმ ოჯახთან, საიდანაც ყმაწვილი ქალი გამოიყვანა, რათა ცოლად, დედად და ცხოვრების ამხანაგად გაეხადა, მარკოზს არავითარი თვალსაჩინო უთანხმოება არა ჰქონია. თუმცა თვითონ არცა სწამდა და არც არავითარ სარწმუნოებას მისდევდა, მაგრამ სხვის რწმენას სთმობდა; იქამდისინ კი არა, რომ თავის ცოლს

წირვაზე წაჰყოლოდა, როგორც ამ უკანასკნელის მამა, თავისუფალი მოაზრე ბერთელო სჩადიოდა; მაგრამ პატარა ქალი ლუიზა კი მოანათვლინა; არა სარწმუნოების მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ ამ ქალბატონებთან მშვიდობიანობის დარღვევა არ უნდოდა. რაც შეეხება ჟენევიევას, იგი ხომ პირველ დღიდანვე ქმრის სიყვარულით სარწმუნოებას აღარ მისდევდა; მხოლოდ ხანდახან კათოლიკურ აღზრდის ზედ-გავლენის მეოხებით აჩნდებოდა ხოლმე რაღაცა იდეები მიუწდომელისა და განუსაზღვრელისა, რაღაც ცრუ-რწმუნებანი, ღმერთზე ბედ-იღბლის მიგდება და სხვა. ეს ცუდი ჩვეულებანი მარკოზს გულსა სტკენდა; მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათი იყო; ისე ოდნავ, ერთს წამს გაჰკრავდა ხოლმე ერთს წუთს დააჯახებდა იმათ აზრებს, ერთს წამს აგრძნობინებდა იმათ არსებათა სხვადასხვაობას, თითქო სხვა და სხვა ქვეყნიდან ყოფილიყვნენ; მერე კი სიყვარული სძლევდა და ერთის წამის შემდეგ ისევ ერთმანეთის საყვარელი მეგობრები იყვნენ. ჟენევიევი „Disihation“-ის სამაგალითო შეგირდი იყო, სადაც პირველის ხარისხის მოწმობით დაამთავრა სწავლა; თავდაპირველად აზრადა ჰქონდა მასწავლებლობა დაეწყო: მხოლოდ შემდეგ, როდესაც ჟონვილში, სადაც მაზელინის ქალი სკოლას უთანაშემწოდ განაგებდა, იმისთვის ალაგი არ აღმოჩნდა, სხვაგან აღარ ინდომა მასწავლებლობა, რომ ქმარს არ მოჰშორებოდა; ამ ხანად ოჯახსაც მოეკიდა, პატარა ქალიც გაუჩნდა და განზრახვა სამერმისოდ გადასდო, უკედ—თავი მიანება ამ განზრახვას. განა, უიმისოდაც ბედნიერნი არ იყვნენ? განა იმათ მყუდრო ცხოვრებას როდისმე ქარიშხალი შეარყევდა? ეჭვი არ იყო, რომ აწ განსვენებულ ბერთეროს ერთგული მეგობარი სალვანი, რომელმაც მონოზნებისა, დიდიდედისა და დედის მიერ ღვთის შიშში აღზრდილი ქალი გაურიგა იმისთანა განათლებულ კაცს, როგორიც იყო მარკოზი, რომელსაც არც ღმერთისა რამ სწამდა, არც ეშმაკისა და რომელსაც ეკლესიის დამხობაში კაცობრიობის ხსნას ჰხედავდა,— ეხლა აღარ ინანებდა, რომ იმათ სიყვარულს წინ არ გადაეღობა, თუ მართლა ეს განზრახვა, შეყვარებულთა საკეთილდღეოდ, ოდესმე თავში მოსდიოდა; იგი სამის წლის ქორწინების შემდეგ ჰხედავდა ცოლ-ქმარის ტკბილ კავშირს და მყუდრო ცხოვრებას. მარკოზმა ამ ღამეს, როცა იმისი ცოლი ტკბილ სიზმრებში იყო; პირველად იგრძნო სინიდისის რაღაც მოუსვენარი შემაწუხებელი ქენჯნა იმ მოვალეობის წინაშე, რომელსაც, თუ-კი იკისრებდა, მოჰყვებოდა ამ ქალბატონებთან უსიამოვნება და მთელ ოჯახისთვისაც ცუდი შედეგი.

როგორც იყო, მარკოზმა დაიძინა. როდესაც დილაზე გამოეღვიძა, გაჰკვირდა, რომ ასეთი მხიარული და მოწმენდილი დღე თავს დასდგომოდა. იმ წამსვე მძიმე ფიქრები აეშალა, თითქო საშინელ მკვლელობის ამბავს არ უნდაო იმის გონებას გაეყაროს. პირველად ჟენევიევმა დაუწყო ამ საგანზე ლაპარაკი:

— საწყალი სიმონი!—სთქვა იმან აღელვებულისა და შესაბრალისის კილოთი,—ძალიან შეწუხებული იქნება: ვერ მიატოვებ, გირჩევ სანახავად წახვიდე და იმასთან დარჩე. ვინ იცის როგორ დასჭირდე!..

მარკოზი გადაეხვია თავის ცოლს, ბედნიერი, რომ ასეთი ყოჩაღი და გულ-კეთილი მეუღლე ჰყავდა.

— დიდიდედა ხომ გაწყრება? ამის შემდეგ ჩვენი აქ ცხოვრება შეუძლებელი გახდება?

ჟენევიევამ გაიღიმა და მორჩილებით მხრები აიწია.

— ეჰ, დიდიდედა თვით ანგელოზებსაც კი ვერ ეწყობა! იმისი ნახევარიც რომ შევასრულოთ, რასაც დიდიდედა თხოულობს, მაინც ბევრი იქნება...

ამნაირმა პასუხმა ორივე გაამხიარულა; ამ დროს ლუიზასაც გამოეღვიძა და დედმამა რამდენსამე ხანს ბავშვთან თამაშობით სტკბებოდა.

მარკოზმა გადასწყვიტა საუზმის შემდეგ წასულიყო და საქმეს შესდგომოდა. თან ტანს იცვამდა და თან დამშვიდებული გონებას ამუშავებდა. პატარა ქალაქ მელბუას თავის ორი ათას მოსახლით მარკოზი კარგად იცნობდა. მცხოვრებნი ორ ნაწილად განიყოფებოდნენ. ერთის მხრივ პატარა ბურჟუაზია და წვრილი ვაჭარნი, მეორეს რვაასამდის მუშა, რომელნიც ოთხხუთ დიდ მოიჯარადრის ქარხანაში მუშაობდნენ. ორივე მხარე სცდილობდა ძალა ხელთ ეგდო და გაბატონებულიყო. ქალაქის საბჭო, რომელიც მცხოვრებთა გვარად, შესდგებოდა ნახევრად კლერიკალებისა და რეაქციონებისაგან და ნახევრად



ცნობილი მწერალი კარმენ სილვა
(რუმინიის დედოფალი) უმაწვილებს უამბობს ზღაპრებს.

რესპუბლიკანელებისა და პროგრესისტებისაგან, ნამდვილი სარკე იყო ორ ბანაკის ბრძოლისა. საბჭოში ორი-სამი სოციალისტიც ერია, მაგრამ იმათი მოქმედება სიმცირის გამო არაფრად ჩაიგდებოდა. ქალაქის მოურავი-კი, ქვის შენობების მოიჯარადრე დარასი, ნამდვილი რესპუბლიკანელი და კლერიკალების წინააღმდეგი იყო. აზორჩეულ იქმნა იმიტომ, რომ საბჭოში დასების ძალა თითქმის თანაბრად განაწილდა. ორის ხმის უმეტესობით ამჯობინეს აერჩიათ ისევ ეს მდიდარი და საქმის კაცი, რომელიც ასამდის მუშას ამუშავებდა, ვიდრე ფიბისი, რომელსაც ერთ დროს ბრეზენტის ქარხანა ჰქონდა, მაგრამ ეხლა ათი-თორმეტი ათას ფრანკის შემოსავლით კარ-ჩაკეტილი სცხოვრობდა; იგი ღვთის მოშიში და კლერიკალების მომხრე იყო. ამნაირად დარასი ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რადგან ჰგრძნობდა, რომ იმისი არჩევა ორის ხმის აქეთ თუ იქით გადასვლაზე იყო დამოკიდებული. ეჰ, მომხრე რომ ბლომადა ჰყვანდეს, მაშინ ჰნახამდნენ, რა ყოჩაღად იბრძოდა სიმართლისა და სამართალისათვის! ეხლა კი დიპლომატიურად უნდა მოქცეულიყო და ოპორტუნისტად გამხდარიყო.

მცხოვრებთა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფას კიდევ არა უშავდა-რა; საშიში ის იყო (მარკოზმაც ეს კარგად იცოდა), რომ კლერიკალების გამარჯვებას წინ არა ედგა-რა. იმ ათის წლის განმავლობაში, რაც კაპუცინებმა ფეხი მოიკიდეს ძველ მონასტერში, რომლის ერთი ნაწილიც საქრისტიანო სკოლების ძმებს დაეთმოთ, პადუის წმ. ანტონის სასწაულებით თამამად სარგებლობამ დიდი შეძლება შესძინა იმათ. რა თქმა უნდა, საქრისტიანო სკოლებსაც ამ გარემოებით უნდა ესარგებლნათ. კაპუცინები რომ საწყალ წმ. ანტონს უკანასკნელ წვეთს ადენდნენ, თითქო სპირტის გამოხდა უნდათო, საქრისტიანო სკოლაც წარმატებაში შედიოდა და მოსწავლეებით ივსებოდა. ეს წმიდანი განისვენებდა მუდამ აყვავებულ და წმინდა სანთლებით გაბრწყინვებულ საკურთხეველზე, რომელსაც ყოველ მხარეს ჭურჭუტანები ჰქონდა დაყოლილი; ამას გარდა აქვე, ტრაპეზშივე, სავაჭრო ბიურო იყო გამართული, რომელსაც დილიდან საღამომდის გამოულეველი მუშტარი აწყდებოდა. წმიდანი მარტო დაკარგულ ნივთებს კი არ აპოვნინებდა: ამით

რას გახდებოდნენ! ვაჭრობის გაფართოვება უნდოდათ და წმიდანიც რამდენსამე ფრანკად კისრულობდა, მაგალითად, ზარმაც მოსწავლეების ეგზამენისაგან განთავისუფლებას, ან კიდევ მდიდარ პატრიოტთა შვილების სამხედრო სამსახურისაგან დახსნას. ავადმყოფების და კუტების განკურნება, სიკვდილისა ან გაკოტრებისაგან დაფარვა ხომ იმისი ხელობა იყო! ამბობდნენ, ორის დღის მკვდარი ვიღაც ყმაწვილი ქალიც კი გააცოცხლაო; ერთის სიტყვით ყველა ჩვეულებრივ სასწაულზედ ხელი მიუწვდებოდა. რასაკვირველია, ყოველ ახალ სასწაულის გამო ფული უფრო და უფრო ბლომად მოდიოდა და მუშტარიც რეაქციონერთა მელბუაში უფრო მატულობდა. ბურჟუაზიისა და ვაჭართა ეს სენი რესპუბლიკანურ მელბუაზედაც გადადიოდა, სწამლავდა და თან და თან ედებოდა მუშა ხალხსაც.

სენ-მარტენის მოძღვარი ქანდიო საკვირაო ქადაგებებში ძალიან წინ აღუდგა ამ ცრუ-რწმუნების გავრცელებას, მაგრამ იმის გამგონი არავინ იყო. როგორც უფრო ნათელი რწმენის კაცი, იგი ძალიან სწუხდა კაპუცინების ასეთ ულირს საქციელის გამო და შიშობდა, იმათ სიხარბეს სარწმუნოებისათვის დიდი ვნება არ მოეტანა. ესეც რომ არ ყოფილიყო, საწინააღმდეგოდ საკმაო იქმნებოდა მარტო ის გარემოება, რომ კაპუცინები ქანდიოს პირიდან ლუკმას აცლიდნენ და ეკლესიას ულარიბებდნენ, რადგან მრევლი ეხლა იმათკენ მიდიოდა და თავისი წვლილიც იქითკენ მიჰქონდა. ქანდიოს, მართლაც, ერთი პატივსადები გულის ტკივილი ჰქონდა, იგი იყო წუხილი გონება განვითარებულ სამღვდელო პირისა, რომელსაც არა ჰსურდა რომის წინაშე თავი მოეხარა და რომელსაც უნდოდა საფრანგეთს ჰქონოდა საკუთარი დამოუკიდებელი, ლიბერალი ეკლესია, ისეთი, როგორიც თანამედროვე დემოკრატიულ მიმართულებას შეეფერება. ამნაირად ქანდიო ეომებოდა იმათ, ვისაც ეკლესია სავაჭრო დუქნად გადაექცია და ვინც იესო ქრისტეს მეორედ აწამებდა. ამბობდნენ, ბომონტის ეპისკოპოსი, ბერჟერო, იმისავე აზრისა არისო; მაგრამ ეს გარემოება კაპუცინებს ხელს არ უშლიდა დაეპყროთ მთელი ქალაქი, რომელიც ურიცხვ სასწაულების წყალობით ლამის ნაკურთხ ალაგად გადაქცეულიყო. მარკოზმა ისიც იცოდა, რომ კაპუცინებს, სამაგიეროდ, ექომაგებოდა თვით ვალმარის სახელ განთქმული რექტორი კრაბო. ამას გარდა მამა ფილიბინმა განგებ იკისრა თავჯდომარეობა სკოლაში საჩუქრების დარიგების ცერემონიაზე, რომ მით საჯაროდ გამოეცხადებინა თავისი მფარველობა და კეთილ განწყობილება. ამნაირად იეზუიტების საქმე, როგორც მტრები ამბობდნენ, გაჩარხული იყო და ებრაელი მასწავლებელი სიმონა ამ სარწმუნოებრივ ბრძოლაში, რომელშიაც გამარჯვება შესაძლებელი იყო დარჩენოდა იმას, ვინც უფრო უსირცხვო საშუალებას არ დაერიდებოდა, ორ ცეცხლ შუა იწოდა; ეს სარწმუნოებრივ ბრძოლა უკიდურესს წერტილამდის იყო მიღწეული, ყველას გულში ცეცხლი ჰქონდა მოდებული და ერთი შებერვაღა აკლდა, რომ ალი ავარდნილიყო.

(შემდეგი იქნება)



საოჯახო ბაცილები



— გახსოვს, ედუარდ, პირველად რომ ძალად მაკოცე და მე სილა გაგარტყი?

—ძალიან კარგად მახსოვს! მაშინ ჩვენ სასამართლოსათვის უნდა მიგვემართა და არა ქორწინებისათვის.



ქალი.—როდესაც შენ შინ არა ხარ, მარტოობას ვგრძნობ, შენი შინ ყოფნა კი მოსაწყენია.. საშინელებაა!..



— რა ძვირფასი ვაზა გამიტყდა! ეს რომ მოსამსახურეს გაეტეხა, ბედს ვაწყევლინებდი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлис, 14 Декабря 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.